სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 80

15 მაისი 2017 წელი

ქ. კასპი

ერთის მხრივ კასპის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის გოჩა გოჩიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი" წარმოდგენილი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მიმწოდებელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება" – სტენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგნს წარმოადგენს: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ერთი ცალი სვიჩის შეძენა და მონტაჟი. ინვოისი #5/3/2017 GGH. CPV32400000

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3 200 (სამი ათას ორასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ა/ფაქტურის (სასაქონლო ზედნადები) და წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

4.3. დაფინანსების წყაროა 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

**5. მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება შემიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2. მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, ღირებულება, რაოდენობა;

**6. მომსახურების გაწევის ვადა**

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 ივნისის ჩათვლით.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;

**8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გივი მერებაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 % პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**11. დაუძლეველი ძალა**

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 24 ივლისი ჩათვლით.

**მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

„შემსყიდველი“
კასპის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ. კასპი კოსტავას ქ. №18 ტელ: 0(371) 22-20-20
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232555302;
სახაზინო კოდი: 300449800; TRESGE22

„შემსრულებელი“
შპს „ორიენტ ლოჯიკი“
მისამართი : ქ. თბილისი ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ. #91ა; ტელ. 598 50 90 98
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 202052054; ა/ნ GE96BS0000000005936872;
ს.ს ,,ბაზის ბანკი" ბ/კ CBASGE22;

„შემსყიდველი“

კასპის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
გოჩა გოჩიტაშვილი

„მომწოდებელი“

შპს „ორიენტ ლოჯიკი“
დირექტორი
ვაჟა ნასყიდაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
02381764669415

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N150127065**

რეგისტრაციის თარიღი

**10.02.2015 წ**

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## საქართველო
## სანოტარო აქტი

ორიათას თხუთმეტი წლის ათ თებერვალს მე, ანჟელა მანიას ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია* ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების - ინტერნეტის გამოყენებით პირდაპირ ონლაინ-რეჟიმში დამიკავშირდა *ვაჟა ნასყიდაშვილი*, რომელმაც განაცხადა, რომ არის *შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს (რეგისტრირებული 20.11.1995 წ. ს/კ № 202052054)* დირექტორი და მას სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სსგს სრს ელ. მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ვაჟა ნასყიდაშვილმა (დაბ. 07.10.1962 წ. თბილისში. პირადი № 01020002516. რეგისტრ. მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. დობროლუბოვის ქ. №8)* მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ მოწმეები: *ვახტანგი ნასარიძე (დაბ. 19.11.1989 წ. მცხეთაში. პ/№ 38001030063, რეგ. მისამართზე: საჩხერე, შ. რუსთაველის ქ. №23)* და *ბაჩო ნიქაბაძე (დაბ. 02.02.1992 წ. თბილისში. პ/№ 01001077802, რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი, მუხიანი IVბ მ/რ, კორ.43, ბ.5)* მე შევამოწმე სანოტარო მოქმედების მონაწილეების ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები.

წინამდებარე მინდობილობის პროექტი შევადგინე მე, ნოტარიუსმა ანჟელა მანიამ და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წავუკითხე მიმნდობს და განვუმარტე. მან დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანიჭებს *ვახტანგი ნასარიძეს.*

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თხუთმეტი წლის ათ თებერვალს მე, *ვაჟა ნასყიდაშვილი*, როგორც *შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს* დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ *ალან ხანაკოევს (დაბ. 01.10.1966 წ. თბილისში. პ/№ 01030005126. რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №83/23)* შემდგომში – "მინდობილ პირს":

იყოს ჩემი, როგორც **შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ის** დირექტორის წარმომადგენელი, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორს კანონით და საზოგადოების წესდებით და აწარმოოს საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება. ამისათვის იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის შემოსავლების სამსახურში, აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გარიგება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი მოაწეროს დადებულ ხელშეკრულებებს. მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ ტენდერში, მოამზადოს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია, წარადგინოს სატენდერო დოკუმენტაცია, ტენდერის მოგების შემთხვევაში ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ცვლილებას, კორესპონდეციას, მათ შორის მოაწეროს ხელი ნებისმიერ იურიდიულ პირთან – ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობის შესახებ, ტენდერით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით. აწარმოოს საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ბანკში (ან მის ფილიალში), საზოგადოების სახელზე გახსნილ ანგარიშებთან დაკავშირებით /ან გახსნას ახალი ანგარიში/ საბანკო-საფინასო ოპერაციები (ფულადი თანხების შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის და ჩეკის საშუალებით გატანის უფლებით, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით). დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში შეავსოს ნებისმიერი ანკეტა, დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები. ასევე მიიღოს შედარების აქტები, წარადგინოს და შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ნებისმიერ სახის ინფორმაცია, ჩააბაროს დეკლარაციები, წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები.

საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესაბამისი საქმე (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ყველა იმ უფლებით, რომელიც მხარეს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, კერძოდ: ა) მიმნდობი პირის სახელით შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით; ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი (კერძო საჩივარი) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; გ) შეცვალოს სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით. ამისათვის ასევე ვანიჭებ დამატებით უფლებამოსილებებს, იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით, ე. ი. იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით საქმე მორიგებით დაამთავროს, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტები.

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყველა ომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, (მათ შორის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში) ქალაქის მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ჩააბაროს საზოგადოების სახელით ნებისმიერი სახის განცხადება, ცნობა, დუბლიკატი, თანხმობა და სხვა დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ხელზე პასუხი, წერილი, მიმართვა და ა. შ;

ამასთან დაკავშირებით შეიტანოს საზოგადოების სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა, ფორმა, მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს ხელი და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

**მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.**

**მინდობილობა გაცემულია მესამე პირზე უფლებამოსილების შემდგომი გადანდობის უფლებით.**

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ათ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

- *შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს* ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- *შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს წესდება -ასლი*

"საკუთრების მიმნდობის" ნაცვლად მისივე თხოვნით

ხელს აწერს [illegible]

მოწმე [illegible]

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" ორმოცდაათი ლარი – მუხლი 32, დღგ 9.00 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, თანახმად ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

*ნოტარიუსი ანჟელა მანია*

ნოტარიუსი

* GEO[redacted] NOTAR ... НОТАРИ * 62001

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N151292063 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 27.11.2015 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ანჟელა მანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 04618350605915 |

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაშვიდ ნოემბერს, მე მარიამ გოგვაძეს ნოტარიუს ანჟელა მანიას შემცვლელ პირს ქ. თბილისში, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია ვადასტურებ მოცემული ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან.
გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა 2.00 ლარი; დღგ 0.36 ლარი - თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი /მარიამ გოგვაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

